**დღის ნომერში 8**

- გათუშელებმა გაიხსენეს 1+2
- სამი სენსაცია
- ოლიმპიური ჩემპიონი — მენავეობეთა კლერკი




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი.

№ 160 (2523) ◉ შაბათი, 15 აგვისტო, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.




## „ჯეპენ ეირ-ლაინზის" თვითმფრინავით

გუშინ, 14 აგვისტოს, ავიაკომპანია „ჯეპენ ეირ-ლაინზის" რეაქტიულმა თვითმფრინავმა ტოკიოდან კურსი აიღო საბერძნეთისკენ! საჰაერო ხომალდი ოლიმპიადების სამშობლოში ჩაიყვანს იაპონიის დელეგაციასა და 20 კორესპონდენტს. დელეგაციის ამოცანაა ოლიმპოს მთაზე ანთებული წმიდა ცეცხლის ჩამოტანა „ამომავალი მზის ქვეყანაში".



სურათზე თქვენ ხედავთ ძველ მეტოქეებს — შ. კოუდელკას, ა. მეტრეველს და ი. კოდეშს. მეტრეველმა ჩეხოსლოვაკი ჩოგბურთელები სულ ახლახანს დაამარცხა გალეას თასზე, ხოლო ამას წინათ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე ნ. მძინარიშვილთან ერთად მათ ერთხელ კიდევ დააყრევინა „ფარ-ხმალი".

სხვათა შორის, გასულ წელს მძინარიშვილი და მეტრეველი გალეას თასის გათამაშების ფინალში სწორედ ამ წყვილთან შეხვედრაში დამარცხდნენ. ასე რომ, რევანში შედგა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

## უკანასკნელი საათი...

◆ მოსკოვი, 14 აგვისტო. სსრ კავშირის მსროლელთა პირად-გუნდურ პირველობაზე დღეს ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა აშხაბადელმა მ. ნიაზოვმა. 300 მ ნებისმიერი შაშხანით ჩოქელა სროლაში მან მოაგროვა 394 ქულა 400-დან, რაც 6 ქულით აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. მაგრამ სამი მდგომარეობის ჯამში საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა ვ. ბორისოვს, რომელმაც მოიპოვა ოქროს მედალი. ქალთა შორის სილუეტებში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სწრაფსროლაში გაიმარჯვა მოსკოველმა ა. სავინამ.

◆ მოსკოვი, 14 აგვისტო. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე დღეს გაიმართა ქალების ერთეულთა ნახევარფინალური შეხვედრები. სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. დმიტრიევამ მოუგო ჩინელ სიუ იუენ-ჩუინს, ხოლო კიეველმა ვ. ტიტოვამ — ჩინელ ჩი ფუნ-დის (ამ უკანასკნელმა მეოთხედფინალში დაამარცხა თბილისელი ი. ერმოლოვა — 6:3, 6:3). ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან დმიტრიევა და ტიტოვა. 15 აგვისტოს გაიმართება ვაჟების ერთეულთა ნახევარფინალები. საბჭოთა ჩოგბურთელები ხვდებიან იუგოსლაველებს: თ. ლეიუსი — ბ. იოვანოვიჩს (რომელმაც მანამდე დაამარცხა თბილისელი ნ. მძინარიშვილი — 6:2, 8:6, 7:5), ხოლო ა. მეტრეველი — ნ. პილიჩს.

◆ მოსკოვი, 14 აგვისტო. აქ დაიწყო საკავშირო პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში. ქალთა შორის 15 კმ-ზე დაყოფილი სტარტით უძლიერესი იყო თ. კუზნეცოვა — 22.08,7. ვაჟთა 25 კმ დისტანციაზე ჩემპიონობა მოიპოვა ალმაატელმა მ. კალინკინმა — 33.58,0.

◆ მოსკოვი, 14 აგვისტო. არგენტინიდან დაბრუნდნენ საბჭოთა დიდოსტატები ტ. პეტროსიანი და პ. კერესი.

## „განთიადის" საპატიო სიგელები — „ლელოს"

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, „ლელოს" 20 წლისთავი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა, საზოგადოების ფიზკულტურული ორგანიზაციებისთვის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განვითარებასა და პროპაგანდაში დიდი და ნაყოფიერი დახმარებისათვის საპატიო სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით დააჯილდოვა რედაქციის თანამშრომელთა დიდი ჯგუფი.

## ნაკრების კანდიდატები

TOKYO 1964

კლასიკური სტილის მოჭიდავეები, რომლებმაც ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა ნორმატივები შეასრულეს, უკვე შეუდგნენ გადამწყვეტ სამზადისს. აი, მათი სახელები.

**უმჩატესი წონა** — ა. საიადოვი (ბაქო, 1937 წ: დაბადებული), ს. რიბალკო (ზაპოროჟიე, 1938 წ.), **მჩატე წონა** — ო. ენგაძე (თბილისი, 1939 წ.), ვ. ტროსტიანსკი (კიევი, 1935 წ.), **ქვემსუბუქი წონა** — რ. რურუა (თბილისი, 1942 წ.), ი. გრიგორიევი (ზაპოროჟიე, 1940 წ.), **მსუბუქი წონა** — დ. გვანცელაძე (თბილისი, 1937 წ.), გ. მარკოვი (კიროვი, 1940 წ.), **ქვესაშუალო წონა** — ა. კოლესოვი (მოსკოვი, 1938 წ.), ი. როოტსი (ტალინი, 1933 წ.), **საშუალო წონა** — ა. კიროვი (მოსკოვი, 1936 წ.), ვ. ოლეინიკი (კუზნეცკი, 1939 წ.), **ქვემძიმე წონა** — რ. აბაშიძე (თბილისი, 1935 წ.), ვ. ანისიმოვი (მოსკოვი, 1937 წ.), **მძიმე წონა** — ა. როშჩინი (ლენინგრადი, 1932 წ.), ი. შმაკოვი (მოსკოვი, 1937 წ.).



დღეს ჩვენს დედაქალაქში იწყება სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობა ცხენოსნობაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ბელორუსიის, ესტონეთის, მოლდავეთის, საქართველოს, სომხეთის, რსფსრ-ს, ლატვიის, ლიტვის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და ყაზახეთის 140-ზე მეტი სპორტსმენი.

სურათზე: ლიტველი მხედრები ვარჯიშის დროს.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

# ტოკიოს სარბიელის მედლები



რომის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჭიდაობის წესებმა არსებითი ცვლილება განიცადა: შერკინების ხანგრძლივობა 12 წუთიდან 10-მდე შემცირდა; გაუქმდა სავალდებულო ჩოქბჯენი; შეიცვალა წმინდა გამარჯვებათა ფიქსაცია. თუ წინათ საკმარისი იყო ლეიბზე ბეჭებით შეხება, ახლა მეტოქე ასეთ მდგომარეობაში სულ მცირე 2 წამს მაინც უნდა დააკავო.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული სიახლეს უკვე აღარ წარმოადგენს. ახალი წესებით გაიმართა არა ერთი და ორი საერთაშორისო ტურნირი, მათ შორის მსოფლიო პირველობაც. ასე რომ, ტოკიოს ოლიმპიური სარბიელი ამ მხრივ შეცდომებისგან დაზღვეული იქნება.

რა შანსებით წარსდგებიან ოლიმპიური მედლებისთვის საბრძოლველად საბჭოთა მოჭიდავეები? კლასიკურ სტილში მათ უკვე კარგა ხანია ბადალი არ ჰყავთ. უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი მოჭიდავეები დამაჯერებლად იკავებენ I ადგილს გუნდურ ჩათვლაში; ამავე დროს საშუალოდ 3-4 სპორტსმენი, როგორც წესი, უმაღლეს ჯილდოს იმსახურებს. ძნელი საფიქრებელია, რომ ტოკიოში შეიცვალოს ძალთა შეფარდება.

მაგრამ მოულოდნელობისგან დაზღვეული არაა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ტურნირი და, კერძოდ, ოლიმპიური ჩემპიონატი.

ჩვენი სპორტსმენებისთვის მაინც საიდანაა მოსალოდნელი საფრთხე?

პირველ რიგში, თურქეთიდან. ამ ქვეყნის მოჭიდავეები სამართლიანად ითვლებიან ფავორიტებად არა მარტო თავისუფალ, არამედ კლასიკურ სტილშიც. ჭიდაობის სტილით თურქები (ლაპარაკია კლასიკურ სტილზე) ხალიჩის საბჭოთა ოსტატებს მოგვაგონებენ. მათი მთავარი კოზირია კარგი ფიზიკური მომზადება და ბრძოლის მწვავე, შემტევი მანერა.

საბჭოთა მოჭიდავეებისთვის შვედები მუდამ ღირსეული მეტოქეები იყვნენ. ბოლო წლებში მათი პოზიციები ერთგვარად შესუსტდა, მაგრამ ტოკიოსთვის შვედები ძალიან გულმოდგინედ ემზადებიან და წარმატების იმედიც აქვთ.

საპრიზო ადგილებისთვის ცალკეულ წონით კატეგორიებში იბრძოლებენ უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და იტალიის მოჭიდავეებიც.

თუ კლასიკურ ჭიდაობაში ოქროს მედლებისთვის მებრძოლთა მდგომარეობა ცოტად თუ ბევრად გარკვეულია, თავისუფალი ჭიდაობის პროგნოზები ბურუსითაა მოცული. საბჭოთა მოჭიდავეები აქაც გამარჯვების მთავარი კანდიდატები არიან, მაგრამ ასევე წარმატებით შეუძლიათ გამარჯვებაზე ფიქრი თურქეთის, იაპონიის, ირანის, ბულგარეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს.

შეერთებული შტატების მოჭიდავეებმა რომში დიდი სენსაცია მოახდინეს და სამშობლოში ოქროს სამი მედალი წაიღეს. ცხადია, ამერიკა წელსაც ეცდება მსგავსი ტრიუმფის გამეორებას.

ბულგარეთის ნაკრები და ცალკეული ბულგარელი მოჭიდავეები უკვე დიდი ხანია მსოფლიოში უძლიერესთა რიგებში ირიცხებიან.

ირანელებზე ლაპარაკიც ზედმეტია,— ეს ქვეყანა მსოფლიო ჩემპიონების სამშობლოა. სხვათა შორის, ირანმა რამდენიმე წლის წინ ტოკიოში მსოფლიო პირველობაზე არნახულ რეკორდს მიაღწია (5 ოქროს მედალი). როგორც ჩანს, „ამომავალი მზის ქვეყნის" ჰავა ირანელებზე კარგად მოქმედებს.

იაპონია — ოლიმპიადის მასპინძელია და მისი მოჭიდავეები სხვებთან შედარებით ხელსაყრელ პირობებში არიან. იაპონია ოლიმპიურ ტურნირში ჩვენი მთავარი კონკურენტი იქნება და მაინც იგი გუნდური პირველობისთვის ბრძოლაში გადამწყვეტ სიტყვას ვერ იტყვის. რატომ? იმიტომ, რომ ამ გუნდს არ ჰყავს მაღალი კლასის მოჭიდავეები ზედა წონებში.

დაბოლოს, თურქეთი. ამას წინათ ცნობილი გახდა თურქეთის ნაკრების შემადგენლობა: ჯ. იალმაზი, ჰ. აკბასი, ნ. კაბანლი, მ. ათალაი, ი. ოგანი, ა. აიკი, ჰ. გიუნგორი, ი. თოფჩუ, ჰ. არსლანი, ა. იაგი. როგორც იტყვიან, ეს გვარები კომენტარებს არ საჭიროებენ! თუ ჩამოთვლილმა მოჭიდავეებმა ოქტომბრისთვის მაღალი სპორტული ფორმა შეინარჩუნეს, ისინი სერიოზულ კორექტივებს შეიტანენ საპრიზო ადგილების განაწილებაში.

ნ. გუგუშვილი

# კომკავშირი ზრუნავს ფიზკულტურაზე

გაიმართა საქართველოს კომკავშირის სიღნაღის სასოფლო-საწარმოო კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები, გააანალიზა ამ საქმეში მოპოვებული წარმატებები და ნაკლოვანებები, დასახა ამოცანები.

პლენუმზე მოხსენებით — „საქართველოს სპორტკავშირის II რესპუბლიკური კონფერენციის გადაწყვეტილებანი და რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების ამოცანები“ — გამოვიდა სიღნაღის რაიონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე თ. ბექაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სპორტკავშირმა 1963 წელს გადაჭარბებით შეასრულა მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსნების მომზადების გეგმა. ზეგეგმით მომზადდა 2 სპორტის ოსტატი, 7 პირველთანრიგოსანი 47 მეორეთანრიგოსანი და სხვ.

კარგად მუშაობენ ზემო ქედისა და ნუკრიანის საკოლმეურნეო, ზემო მაჩხაანის, ულიანოვკის, ჯუგაანის საშუალო სკოლების, ქვემო მაჩხაანის ზოოვეტტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიღწევებთან ერთად არის სერიოზული ხარვეზებიც. დაბალია სპორტული მაჩვენებლების დონე, მცირეა ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულ ქალთა რიცხვი, სუსტადაა გამოყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, კულტურის სახლები, კულტურისა და დასვენების პარკები, ბაღები...

ცუდადაა გაშლილი ფიზკულტურული მუშაობა საცხოვრებელ ადგილებში — მასივებსა და ეზოებში, საწარმო-დაწესებულებებში. ისეთ დიდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, როგორიცაა „საქსოფლტექნიკის“ წნორისა და წითელწყაროს განყოფილებები, წნორის საკონსერვო ქარხანა, დღემდე ვერ მოახერხეს საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა. ამ საწარმო-დაწესებულებათა ფიზკულტურული ორგანიზაციები იშვიათად მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში. ქვემო ბოდბის, ანაგის, არბოშიკის, საქობოს, ოზაანის, გამარჯვების ერთ დროს მოწინავე ფიზკულტურულმა კოლექტივებმაც კი დათმეს პოზიციები.

პლენუმზე გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჯაფარიძის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ვ. გოგილაშვილმა, ჯუგაანის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა [...] საქობოს კაცხოველის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარემ ი. ჯიბლაშვილმა, „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს ინსტრუქტორმა პ. პატაშვილმა და სხვ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა კომკავშირის სიღნაღის სასოფლო-საწარმოო კომიტეტის მდივანმა მ. პოპიაშვილმა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ სიღნაღის სასოფლო-საწარმოო კომიტეტის მდივნის მოადგილემ ი. ბალაშვილმა, რის შემდეგ მიიღეს სათანადო დადგენილება.

**ნ. შარმიაშვილი,**
**სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის“ მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.**

# მასწავლებლები საყვედურობენ

მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა თბილისში, ბორჯომსა და თელავში ჩაატარა I-IV კლასების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომლებიც დაახლოებით 150 მსმენელმა გაიარა (ამათგან უმრავლესობა ფიზიკურ კულტურასაც ასწავლის).

მასწავლებლები საყვედურობდნენ, რომ I-IV კლასებში ფიზიკური კულტურის სწავლების საკითხებზე არ მოიპოვება მეთოდური მასალები, სახელმძღვანელო წიგნები და სხვა დამხმარე ლიტერატურა (გ. მერკვილაძის, ნ. შიშნიაშვილის, ა. ორახელაშვილის, ზ. შერეზადაშვილის წიგნები უკვე კარგა ხანია აღარ იშოვება), I-IV კლასების მასწავლებლები არ არიან ჩაბმული მეთოდგაერთიანებებში, მაღალი კლასების ფიზიკური კულტურის პედაგოგები კი ნაკლებად ეხმარებიან თავიანთი სკოლების I-IV კლასების მასწავლებლებს. ხომ ყველასთვის ცხადია, რომ დაბალ კლასებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილები უხეიროდ, ან სრულიად არ ტარდება. განა შეიძლება V კლასში ოთხ წელიწადში გასავლელის, თანაც ამავე კლასის საპროგრამო მასალასთან ერთად, ერთ წელიწადში ათვისება?

ზოგი მასწავლებელი აღნიშნავდა, რომ მართალია, მაღალი კლასების პედაგოგები აქა-იქ ცდილობენ დახმარებას, მაგრამ I-IV კლასებში სწავლების მეთოდიკის თავისებურებათა არასაკმარისი ცოდნა ძალზე აფერხებს მათს კეთილ განზრახვას და კარგი სურვილებიდან, ფაქტიურად არაფერი გამოდის.

ამ არანორმალურ მდგომარეობას უთუოდ ყურადღება უნდა მიექცეს.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საქმე რომ ოდნავ მაინც გამოსწორდეს, კარგი იქნებოდა, თუ აგვისტოს თათბირების დღეებში დაბალი კლასების მასწავლებელთათვის გაიმართება კონსულტაციები საპროგრამო მასალის გარჩევისა და მისი სწავლების მეთოდიკის საკითხებზე.

**ზ. ბაღდავაძე,**
**საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.**

**ქობულეთი**

ორ კვირას გაგრძელდა ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობა „იმედის თასზე“, რომელიც ადგილობრივი კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ინიციატივით მოეწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქალაქის ქუჩებისა და პიონერთა ბანაკების გუნდები. სულ მინდორზე გამოვიდა 150-ზე მეტი ნორჩი ფეხბურთელი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რკინიგზის სადგურის უბნისა და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირების პიონერთა ბანაკის გუნდები. ფინალი მოიგეს „რკინიგზელებმა“—2:1.

**ლ. ტრაპაიძე**

# დავჯერდეთ ამას?

ვერ ვიტყვით, რომ ბათუმში სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ წყალჯომარდობის აუზის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდეს. იგი უკვე რამდენიმე წელიწადია შენდება და ვერ აშენებულა. „სპარტაკის“ აუზი გაზეთებსაც არა ერთხელ აურჩევიათ მწვავე საუბრის თემად და ამაზე იმდენი ქაღალდი დაიხარჯა, რომ ბათუმის მშენებლები ალბათ ამ ქაღალდებისაგანაც შეძლებდნენ ობიექტის დამთავრებას.

ერთი-ორი წლის წინ ხელის შემშლელი პირობები მრავლობით რიცხვში შეგვეძლო ჩამოგვეთვალა. ამჟამად კი მის პროცესს, რომელიც გადაღლილ სტაიერს დაემსგავსა, მხოლოდ ერთი რამ უშლის ხელს: ეს „ერთი რამ“ არის ოჯახი, რომლის ადგილსამყოფელი აუზის „ტერიტორიალურ წყლებშია“ მოთავსებული და რომლის მოთხოვნილების მასშტაბები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ამას კანონიერება მოითხოვს. მას, ამ ოჯახს, თურმე ხელს არ აძლევს მშვენიერი ბინა, რომელსაც თავაზობენ, თუმცა მისი ახლანდელი ბინა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, შეთავაზებულის ფრჩხილადაც არ ღირს.

— ვიმედოვნებთ, რომ ისინი დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მოიღებენ მოწყალებას, ახალ ბინაში გადავლენ და ჩვენც შევძლებთ საქმის ბოლომდე მიყვანას, — თქვა „სპარტაკის“ აქაურმა მესვეურმა ს. ლოგინოვმა. — მაგრამ აუზის დამთავრება ერთია, ხოლო მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა კი — სხვა. ზემდგომმა ორგანოებმა დროზე უნდა მოგვხედონ და გამოგვიყონ სათანადო თანხები, რომ ჩვენს სპორტსმენებს შეეძლოთ სრულწლიური წვრთნა.

მართლაც დასანანია, რომ ბათუმში, რომელსაც ბუნებამ ყველა სიკეთე მიამადლა, კერძოდ, ცურვის შესწავლის მსურველთათვისაც, ეს „პროცედურა“ ამჟამად მხოლოდ რამდენიმე თვით თუ შეიძლება გაგრძელდეს. თანაც, ამ აუზის სტარტზე გამოსულ სპორტსმენებს კეთილმოწყობილი გასახდელები და ფინიშის შემდეგ თბილი შხაპის მიღება „არაამქვეყნიურ“ სიკეთედ აქვთ გადაქცეული.

* * *

როდესაც სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წყალჯომარდობის სადგურს ვეწვიეთ, „მშრალი ცურვის“ მორიგი გაკვეთილი ტარდებოდა. სადგურის უფროსი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ცურვაში გ. კალანდაძე თვალყურს ადევნებდა 10—12 წლის ბიჭუნებსა და გოგონებს, რომლებიც ბატერფლაის ილეთებს ასრულებდნენ. ბევრმა მათგანმა მაისის დასასრულისთვის სრულებით არ იცოდა ცურვა, ახლა კი 31-მა ახალბედამ შეასრულა მოზარდთა II თანრიგის ნორმატივი. სულ მიმდინარე წელს მოზარდთა I თანრიგის ნორმატივი შეასრულა 12 მომეცადინემ, ხოლო II თანრიგისა — 49-მა.

„განთიადში“ არიან ისეთი მოცურავეებიც, რომლებმაც მოზრდილთა I და II თანრიგის ნორმატივები შეასრულეს. მათ შორის იყო ორი პირველთანრიგოსანი — გ. ცხოიძე და დ. პოლიხრონიდი. ისინი „განთიადის“ წევრებად ითვლებოდნენ მანამ, სანამ არ გამოჩნდნენ „კეთილი ადამიანები“ სპორტსაზოგადოება „დინამოდან“. არ ვიცით, რითი მოინადირეს ისინი „დინამოს“ მწვრთნელებმა ს. შაგოვამ და ვ. ჩერნიშოვმა. ასეა თუ ისე, გ. ცხოიძისა და დ. პოლიხრონიდის მაგალითს შემდეგ მიბაძეს კ. ხაჩატურიანმა, ა. მალეევმა, ვ. ხაჩიკიანმა და ყოველგვარი უფლების გარეშე ერთი საზოგადოებიდან მეორეში „გადაბარგდნენ“.

სპორტსმენთა „გადასვლას“ შარშან თან დაერთო ორი გამგზავრება ქალაქ ტუაფსეში ახალი „შეთავსებით“. პირველი მოხდა ივლისის შუა რიცხვებში შავი ზღვის აუზის საბჭოს პირველობაზე. ბუნებრივია, გუნდი მოხსნეს შეჯიბრებიდან. მეორედ გუნდი იმავე ტუაფსეს ეწვია აგვისტოს დასასრულისთვის, ამჯერად „დინამოს“ საკავშირო პირველობაზე. ორივე მოგზაურობისას გუნდთან ახლდა წყალბურთის მწვრთნელი ვ. ჩერნიშოვი. ესეც არაფერი. იგი თურმე ერთდროულად ოთხ ადგილზე ახერხებს მუშაობას: ბათუმის პორტში დამ[...] წყობად და ამავე დროს წყალბურთის მწვრთნელად „დინამოში“, ნავსადგურსა და ბათუმის ცურვის სპეციალიზებულ სკოლაში.

„დინამოს“ ხელმძღვანელობის საყურადღებოდ უნდა ითქვას შემდეგიც: თუ კი მათ შეძლეს „სპარტაკის“ აუზის დაქირავება, წელს ააშენეს სახტომი კოშკი, ნუთუ ასე ეძნელებათ ახალგაზრდა სპორტსმენების აღზრდა ყოველგვარი გადაბირებისა და „ნადის“ გარეშე? ის ფაქტი კი, რომ გ. ცხოიძე საქართველოს 1963 წლის ჩემპიონი ცურვაში მოზარდთა შორის — მომავალ წელს ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე აღმოჩნდა, აშკარად გვიჩვენებს, თუ შემდგომ როგორ ჭაღლდება „დინამოში“ „გადასული“ სპორტსმენის ოსტატობა, რა დონეზე დგას აქ საწვრთნელი მუშაობა.

* * *

ოთახში ორი ადამიანი იმყოფება — ბათუმის ცურვის სექციის თავმჯდომარე ი. ბერიძე და ამავე სექციის მდივანი პ. კაზანოვსკი. ისინი დაახლოებით ორი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ მეტად საინტერესო თემაზე.

მკითხველს, ალბათ, ახსოვს თუ რას ნიშნავს ციფრები 1+2. გავიხსენოთ კიდევ ფრაზა პრესიდან: „ცურვის მასობრივი სწავლება დღემდე ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს ჩვენს რესპუბლიკაში“. და, ბოლოს, გაგაცნობთ პ. კაზანოვსკის თაოსნობას და ყველაფერი ნათელი გახდება: ბათუმში თვითეულმა მოცურავემ ზაფხულის განმავლობაში ცურვა უნდა ასწავლოს ორ-სამ ახალბედას. თუ რამდენად შეისხამს ხორცს ეს მშვენიერი წამოწყება, ამას გავიგებთ სექტემბრის პირველ კვირადღეს, როცა აჭარის დედაქალაქში გაიმართება მასობრივი სტარტები...

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ცურვა ბათუმში ჩამორჩენილი უბანი იყოს. ასეთივე „სულისკვეთებით“ ლაპარაკობდა თითქმის ყველა, რომლებთანაც ამ თემაზე საუბარი მოგვიხდა. პასუხი, დაახლოებით, ერთ „ორბიტაში“ ტრიალებდა: ვერ გეტყვით, რომ ცურვაში ძალიან კარგად გვქონდეს საქმე, მაგრამ ჩამორჩენილებიც არა ვართ.

ეს აზრი გამოთქვა ი. ბერიძემაც, რომელიც ოთხი თვეა, რაც სექციის თავმჯდომარედ აირჩიეს. მას კვერი დაუკრა პ. კაზანოვსკიმაც.

მაგრამ, დავჯერდეთ თუ არა ამას? ვიკმაროთ ის, რომ ბათუმელები ცურვაში მოწინავეთა შორის კი არ არიან, არამედ — სადღაც შუაგულში?...

**გ. გიგაური**
**(ჩვენი სპეც. კორ.)**

ბათუმი.



სურათზე: პიონერულ მუშაკთა რესპუბლიკური სკოლის მსმენელები — გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბნის 8-წლიანი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ნათელა გეროიანცი და წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ციური ბოგვერაძე (მარჯვნივ) ბორჯომის ხეობაში ლაშქრობისას.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

# პიონერული ზაფხულის ფინიში

ათიოდე დღეც და პიონერები მშობლიურ სკოლებს მიაშურებენ. ახლა კი ათასობით ნორჩი ჩვენი რესპუბლიკის ბანაკებში ისვენებს, ძალღონეს იკრებს და იწრთობა. შიდასაბანაკო სპარტაკიადებში პიონერები ცდიან თავიანთ ძალებს.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ტაშისკრის პიონერთა ბანაკის სპარტაკიადა, რომელიც ახლახან ჩატარდა, სპორტის 7 სახეობას (მძლეოსნობას, ცურვას, კალათბურთს, ფრენბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, ჭადრაკსა და შაშს) მოიცავდა. ასპარეზობაში 154-მა პიონერმა მიიღო მონაწილეობა.

სპორტი წინა პლანზეა აგრეთვე თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პიონერთა ბანაკში, რომელიც გამართულია თიანეთში. ბანაკის უფროსს ქ. ენუქიძეს, უფროსპიონერხელმძღვანელს ი. ქოსაშვილს და ფიზაღზრდის მასწავლებელს გ. სტვილიას ყველაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ ბავშვებმა კარგად დაისვენონ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ფიზკულტურულ შეჯიბრებაში... პიონერებს ყველაზე მეტად ფრენბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი იზიდავთ. ამიტომაც არის, რომ ყველაზე ხშირად ასპარეზობა სპორტის ამ სახეობებში იმართება. შეჯიბრებათა მაღალ დონეზე ჩატარებას ხელს ისიც უწყობს, რომ ბანაკი უზრუნველყოფილია სპორტული ბაზებით.

**ვ. ზანიერი,**
**ჯ. ენდელაძე.**



ზღვის ტალღებზე...

ფოტოეტიუდი ფ. კრიმსკისა.

# განვლილი ტურნირის „ეკვატორი“

## საფეხბურთო მიმოხილვა

აგვისტოა. ზაფხულის უკანასკნელი თვე. მაგრამ თუ გადავხედავთ ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარს, იქ ეს-ესაა მიიწურა გაზაფხული, ვინაიდან 17 უძლიერესმა გუნდმა მხოლოდ აგვისტოს დასაწყისში განვლო საშუალედო ფინიში.

დამთავრდა პირველი წრე, რომელიც გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს. მახსოვს, ჩემპიონატის დაწყების წინ ერთ-ერთ წერილში მე ვიწინასწარმეტყველე, რომ მომავალი ჩემპიონი დააგროვებს დაახლოებით 45-46 ქულას და, ეტყობა, ეს ციფრი ყველაზე უფრო რეალურია სადღეისოდაც. თუ ამოსავალ წერტილად მივიჩნევთ ამ ზღვარს, ახლა 7 გუნდს აქვს რეალური პრეტენზია ოქროს მედლებზე, თუმცა, მათ შორის არ ჩანს მოსკოვის „დინამო“, რომელსაც იურიდიულად დღესაც უპყრია ჩემპიონის წოდება.

ყველა მატერიკის საფეხბურთო მინდვრებზე ცნობილი ამ კლუბის წარუმატებლობა სეზონის ერთ-ერთი მთავარი სენსაციაა. ა. პონომარიოვის გუნდმა პირველ წრეში ვერ დააგროვა შესაძლებელ ქულათა 50 პროცენტიც კი და ჩატარებული შეხვედრების ნახევარში არ გაუტანია არც ერთი გოლი. თუ ამას დავუმატებთ, რომ ჩემპიონის მონოლითურ დაცვით ხაზებში, რომელსაც მეთაურობს ლ. იაშინი, გაჩნდა ბზარი, ნათელი გახდება, რომ „დინამო“ შორსაა თავისი შარშანდელი ფორმისგან. საამისო მიზეზი, ჩემის აზრით, რამდენიმეა: შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფის გარკვეული თვითდამშვიდება, გადაღლა რიგი წამყვანი მოთამაშეებისა, რომლებსაც პრაქტიკულად არა ჰქონიათ დასვენება (არ უნდა დავივიწყოთ, რომ „დინამოდან“ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში გაწვეული იყო 13 მოთამაშე). მაგრამ ძირითადი მაინც ისაა, რომ შეტევის ცენტრში არ არის საჭირო აგრესიულობის მქონე, შეთამაშებული ტანდემი. გ. გუსაროვმა, ნ. ბობკოვმა და ი. ვშივცევმა ვერა და ვერ ააწყეს თამაში.

მეორე სენსაციას წარმოადგენს მოსკოვის „ტორპედოს“ დიდი წარმატება. ეს გუნდი სრული ლიდერია: მან ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი და დამარცხებათა უმცირესი რაოდენობა აქვს. რა მოხდა? შარშან ხომ გუნდი ამ დროს მხოლოდ მე-12 იყო! ჯერ ერთი, ტორპედოელებმა ძალზე ენერგიულად და მონდომებით ჩაატარეს წინა-სასეზონო მზადება. მეორეც, — მწვრთნელებმა შეძლეს შეეთამაშებინათ ახალი ფეხბურთელები ვეტერანებთან და მიეღოთ საუკეთესო ანსამბლი. ახლა ძნელია იმის თქმა, შეინარჩუნებენ თუ არა ტორპედოელები აღებულ ტემპს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გუნდი მტკიცედ დადგა ფეხზე და მიაგნო საკუთარ ხელწერას.

პირველი წრის კარგმა ფინიშმა არმიელთა ორ გუნდს — როსტოვისას და მოსკოვისას — საშუალება მისცა დაეკავებინათ მაღალი ადგილები. როსტოველები ადრინდებულად ერთგული დარჩნენ შემტევი, აგრესიული სტილისა, ხოლო ცსკა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მისივე ძველი ვეტერანი ვ. ნიკოლაევი, მიდის ძველი დიდების აღორძინების გზით. ორი დიდი გამარჯვება „შინიკზე“ (10:2) და თბილისის „დინამოზე“ (4:1), წარმატებით ჩატარებული მატჩები მოსკოვის გუნდებთან — „დინამოსთან“, „ტორპედოსთან“ და „სპარტაკთან“, ერთობ მრავლისმეტყველი ფაქტებია და ამ გუნდის მაღალპოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს. კვლავ იწყებს ქუხილს საფეხბურთო მინდვრებზე ფედოტოვის სახელი. ეს არის ვაჟი გამოჩენილი ფორვარდის გ. ფედოტოვისა — ვლადიმერი, რომელმაც მამისგან მემკვიდრეობით მიიღო პოზიციის შერჩევისა და ბურთის გატანის ნიჭი. გარდა ამისა, მოსკოვის არმიელთა გუნდს საიმედო რეზერვი ჰყავს, რაც შემოდგომაზე თავის სიტყვას იტყვის.

გაცილებით უფრო ცუდად აქვს მარქაფის საქმე მოსკოვის „სპარტაკს“. ბოლო წლებში ამ პოპულარული კლუბის ხელმძღვანელობამ მეტისმეტი უყურადღებობა გამოიჩინა თავისი ახალგაზრდა, მაგრამ პერსპექტიულ ფეხბურთელთა მიმართ და ახლა, როცა გუნდის წამყვანმა მოთამაშეებმა მიიღეს ტრავმები, მათი ტოლფასოვანი შეცვლა აღარ აღმოჩნდა. მართალია, „სპარტაკს“ ცუდი სატურნირო მდგომარეობა არა აქვს და თუ მხედველობაში მივიღებთ გუნდის კარგი ფინიშის უნარს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას. მაინც შეიძლება ითქვას, „სპარტაკის“ თავდასხმა ახლა ძალზე უფერულად თამაშობს და ბურთები აქ ძირითადად გააქვთ ნახევარმცველებს, კერძოდ, გ. ლოგოფეტს. ეტყობა „სპარტაკს“ გაუჭირდება კონკურენციის გაწევა ისეთი მძლავრი შეტევის მქონე გუნდებისთვის, როგორებიცაა ცსკა, მოსკოვის „ტორპედო“, თბილისისა და კიევის „დინამო“.

რახან თბილისელთა გუნდზე ჩამოვარდა სიტყვა, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ მას წელს სავსებით რეალური შანსები აქვს იბრძოლოს ოქროს ჯილდოსათვის, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: საჭიროა ქულათა საერთო შესაძლებლობის თუნდაც 50 პროცენტის აღება მეტოქეთა მინდვრებზე. სამხრეთელებმა, მაგალითად, მოსკოვში უკვე ორი სერიოზული მარცხი განიცადეს „დინამოსთან“ (1:3) და არმიელებთან (1:4), წააგეს მატჩები დონეცკსა და კიშინიოვში, დაკარგეს ქულები მინსკში, კიევში, ალმა-ატაში. „სხვისი მინდვრის“ ფაქტორი თბილისელთათვის გადაულახავ სიძნელედ იქცა.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას კიეველებზე, რომლებიც გაცილებით უფრო სუსტად თამაშობენ მაშინ, როცა აკლიათ თავიანთი მაყურებლის მხარდაჭერა. აქედან — დამარცხებები და დაკარგული ქულები მეტოქეთა მინდვრებზე. მიუხედავად ამისა, ორივე ეს მაღალტექნიკური კოლექტივი მოსკოვის „კვარტეტთან“ და როსტოველებთან ერთად ქმნის საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ ჯგუფს.

განსაკუთრებით გვსურს გავუსვათ ხაზი მინსკის „დინამოს“. ბელორუსიის გუნდი გადაეჩვია ბურთების გატანას. 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მინსკელებმა სულ 8 ბურთის გატანა შეძლეს. უკვე 11 მატჩია, რაც მინსკის თავდასხმის ცნობილი ცენტრალური დუეტი (მუსტიგინი და მალაფეევი) მინდვრიდან ისე გადის, რომ არ გაუტანია არც ერთი გოლი და გუნდი მხოლოდ მეკარე ა. დენისენკოსი და დაცვის საიმედო თამაშის წყალობით (მიღებულია სულ 7 ბურთი) ინარჩუნებს ადგილს პირველ ათეულში.

სასიხარულოა „შახტიორის“ სტაბილური, საინტერესო თამაში. დონეცკის გუნდმა 12 ტურის განმავლობაში მარცხი არ იცოდა და მხოლოდ ფინიშზე განცდილმა წარუმატებლობამ დაატოვებინა მას ადგილი პირველ ხუთეულში.

გარკვეული წარმატებები აქვს „ვოლგას“. გორკელებმა, მაგალითად, 5 ქულა აიღეს შარშანდელ პირველ სამ პრიზიორთან შეხვედრებში და ეს მაშინ, როცა ამ გუნდის შემადგენლობაში არაა არც ერთი „ვარსკვლავი“.

„კრილია სოვეტოვი“, „შინიკი“, „მოლდოვა“, ქუთაისის „ტორპედო“, „კაირატი“, „ნეფტიანიკი“ თავგამოდებით იბრძვიან იმისთვის, რომ რაც შეიძლება შორს დაცილდნენ მე-14 ადგილს, საიდანაც პირდაპირი გზაა „ა“ კლასის მეორე ჯგუფისკენ. ეს გუნდები იშვიათად აჩვენებენ შინაარსიან ფეხბურთს და ასევე იშვიათად გააქვთ გოლები.

დაბოლოს, წლევანდელი სეზონის სენსაცია № 3 — ლენინგრადის „ზენიტის“ ჩავარდნა. თითქოს, ამ გუნდს არასოდეს არ ჰქონოდეს თავის მფლობელობაში სსრ კავშირის თასი და ადგილი უძლიერესთა ხუთეულში. „ზენიტის“ ხელმძღვანელობა ამჟამად მთლიანად განახლებულია და გუნდმა გარკვეული წარმატებებიც მოიპოვა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, „ზენიტი“ დაუბრუნდება თავის ძველ ადგილს გათამაშების ცხრილში.

საერთოდ, ბრძოლა ახლა ჩაღდება სრული სიმწვავით. წინაა გადამწყვეტი შეხვედრები.

**ი. ვანიატი,**
ახალი ამბების სააგენტოს ფეხბურთის მიმომხილველი.

## ახალი ამბები

● **მოსკოვი**, 14 აგვისტო. აქ დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. მეოთხედფინალში ა. მეტრეველმა დაამარცხა მოსკოველი ვ. ეგოროვი (13:11, 6:4, 6:4) და ნახევარფინალში გავიდა. ასეთივე წარმატებას მიაღწია ტალინელმა თ. ლეიუსმა (6:1, 6:2, 6:4), რომელმაც ნახევარფინალში გასვლა არმიელ ი. იუშკას დამარცხებით გაინაღდა.

● **გორკი**. ხელოვნურსაფარიან ახალ ტრამპლინზე გაიმართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი ხტომასა და ორჭიდში. ორჭიდელთა შეჯიბრების დროს ესტონელმა ოსტატმა ტ. ხალიანდმა დაამყარა ტრამპლინის რეკორდი — 56 მ. შემდეგ მანვე მოიგო 5 კმ კროსი და ორჭიდის ჯამში 521,98 ქულით ჩემპიონი გახდა. ხალიანდმა ძალები ცადა წმინდა ხტომებშიც და აქაც პირველი იყო, ამასთან ტრამპლინის რეკორდი კიდევ 0,5 მ-ით გააუმჯობესა.

● *მოსკოვი*. *ტყვიით მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატზე მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სტანდარტზე სროლაში ქალთა შორის გაიმარჯვა ტ. კომარისტოვამ („დინამო“). სწრაფსროლაში 228 ქულის მოგროვებით ოქროს მედალი დაისაკუთრა ი. კონდაკოვმა.*

● *კოვგოლოვო*. ჰეპო-იარვის ტბაზე დამთავრდა საკავშირო პირველობა საწყლოსნო-სამოტორო სპორტში. ჩემპიონები გახდნენ: პ. ლუბანსი, ვ. სლინკოვი (მანვე დაამყარა საკავშირო რეკორდი: სვლით 1 კმ-ზე საათში 115,384 კმ სისწრაფე განავითარა), ლ. გრაციანოვი, ვ. კოჩერგინი და სხვ. ქალთა შეჯიბრება „სი-175“ სკუტერებით მოიგო მ. კაასიკმა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის კოლექტივმა.

# ჭადრაკი

## მეორე ნახევრის წინ

**მინსკი**, 14 აგვისტო (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის 1964 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის VIII ტურში გაფრინდაშვილი შეხვდა დიდოსტატ სუეტინს. მეფის პაიკის წინსვლაზე სუეტინმა სიცილიური დაცვა აირჩია. მალე დაფაზე რთული ბრძოლა გაჩაღდა. მოჭადრაკე ქალი შეუპოვრად თამაშობდა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში იძულებული იყო პაიკი შეეწირა, რომ ინიციატივა არ დაეკარგა. პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა.

წარუმატებლად ითამაშა გურგენიძემ დუშამბელ ოსტატობის კანდიდატ ბოიარინოვთან და დამარცხდა. ეტრუკმა მოუგო ბირბრაგერს, ზილბერმა — ვალიევს. ყაიმით დამთავრდა შაგალოვიჩ — მუხინის შეხვედრა.

გუშინ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება, რომლებიც ათზე მეტი დაგროვდა.

სუეტინმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სავონთან, ხოლო გაფრინდაშვილთან ზუსტი თამაშით შეძლო უპირატესობის გამოყენება და გაიმარჯვა. ორი პარტია წააგო სავონმა — შაგალოვიჩთან და ზახარიანთან. სამ პარტიაში მოუხდა თამაშის განახლება პეტერსონს. მან დაამარცხა შაგალოვიჩი და ხოდოსი, ხოლო მუხინს ყაიმზე შეუთანხმდა. ხოდოსმა მოუგო კრუტიხინს. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ვოორემაა — გურგენიძის, მიკენას — კრუტიხინისა და ხოდოს — ნოსკოვის შეხვედრები.

VIII ტურის შემდეგ დიდოსტატ ა. სუეტინს 7 ქულა აქვს.

**მ. შიშოვი,**
სპორტის ოსტატი.

## ჩვენები ლიდერებში

**კიშინიოვი**, 13 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). უკვე VII ტურია განვლილი. ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს ტირასპოლელი ოსტატი ა. ლუტიკოვი (5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია). თ. კიკიანს 5 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ბაქოელი ოსტატი ს. პალილბეილი. ჭაბუკ თბილისელ მოსწავლეს ა. ბოკუჩავას 4 ქულა აქვს.

VI და VII ტურში კიკიანმა ლამაზად მოუგო ესტონელ ოსტატ არულაიდს, ხოლო შეხვედრა მოლდაველ ოსტატობის კანდიდატ ნივიდნიჩისთან ყაიმით დაამთავრა. ამ ტურებში ბოკუჩავამაც 1,5 ქულა დააგროვა. მან მოუგო ლუგანსკელ ოსტატობის კანდიდატ კუზმინსა და ყაიმზე შეუთანხმდა არულაიდს.

## სამი ტური...

**რიგა**, 14 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ჭაბუკ-მოჭადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაზე კიდევ ოთხი (IV-V-VI-VII) ტური გათამაშდა. დღეისთვის კვლავინდებურად ლიდერობენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, საქართველოსა და მოსკოვის გუნდები.

პირად ჩათვლაში რ. ჯინჯიხაშვილსა და მ. ლევინს 4-4 ქულა აქვთ.

IV ტურში ლევინმა მოუგო ლიტველ ზელმანს, ჯინჯიხაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ესტონელ რემელთან. V ტურში საქართველოს ორივე მოჭადრაკემ ყაიმით დაასრულა პარტია: პირველმა — რემელთან, მეორემ — ცეშკოვსკისთან (რსფსრ). VI ტურში ლევინი დამარცხდა მიშუჩკოვთან (რსფსრ), ჯინჯიხაშვილი — უსაკოვსკისთან (მოსკოვი). VII ტურში ლევინმა მოუგო ესტონელ პიაერენს, ჯინჯიხაშვილმა — აზერბაიჯანელ მორგულიოვს.

ტურნირის ბოლომდე სამი ტურია.

**თ. ლომაია,**
სპორტის ოსტატი.

# 1. მისაბაძი მაგალითი

ლატვიელი მეგობრის გამოცდილებიდან



როცა ლატვიის საჭადრაკო კლუბში შეხვალთ, პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, ესაა, რესპუბლიკის დიდი რუკა, რომლის მიხედვით თვალსაჩინოდ შეგიძლიათ იმსჯელოთ ლატვიელთა საჭადრაკო ორგანიზაციის წარმატებებზე. რუკაზე აღნიშნულია ყველა 26 საჭადრაკო კლუბი, რომლებიც საქმიანობენ ლატვიის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. რუკაზე ამოიკითხება აგრეთვე, თუ რამდენი მაღალი კვალიფიკაციის მოჭადრაკე, მსაჯი, მწვრთნელი ცხოვრობს ამა თუ იმ ქალაქსა და რაიონში. მოჭადრაკეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. და ეს დაუყოვნებლივ აისახება ხოლმე რუკაზე.

კლუბის დირექტორი — ოსტატობის კანდიდატი ზ. სოლმანისი ხალისით მოგვითხრობს თავის მუშაობაზე. კლუბის შტატში 60 თანამშრომელია. ძალაუნებურად გვახსენდება, რომ საქართველოს ცენტრალური საჭადრაკო კლუბი ითვლის... 6 თანამშრომელს. ლატვიის კლუბი სამეურნეო ანგარიშზეა, მაგრამ, სოლმანისის სიტყვით, კლუბი არა თუ განიცდის ფინანსურ სიძნელეებს, არამედ, პირიქით, შემოსავალიც კი აქვს.

როგორ მიაღწიეს ამას? პირველი: კლუბს აქვს თავისი სახელოსნო, რომელიც ამზადებს საჭადრაკო ინვენტარს, ჯიბის ჭადრაკს, შაშს და სხვა შეკვეთებსაც იღებს. სახელოსნოს ნაწარმი მოწონებით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში.

კლუბის შემოსავლის მეორე პუნქტია საჭადრაკო ჟურნალი „შახსი“ („ჭადრაკი“). დაბოლოს, კლუბი სისტემატურად უშვებს სსრ კავშირში და უცხოეთში ჩატარებული ტურნირების პარტიათა კრებულებს, რომლებიც იგზავნება და ვრცელდება როგორც ლატვიაში, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებში.

კლუბთან მუშაობს ლექტორთა ბიურო, რომელიც ცენტრალიზებული წესით აწყობს მაღალი კვალიფიკაციის მოჭადრაკეთა გამოსვლებს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. კლუბისთვის ამასაც დიდი შემოსავალი მოაქვს.

მე, როგორც საქართველოს საჭადრაკო კლუბის ინსტრუქტორ-მეთოდისტს, მესიამოვნა იმის გაგონება, რომ ლატვიის კლუბში შემოქმედებით-მეთოდურ მუშაობაში დაკავებულია 20 (!) თანამშრომელი (ჩვენს კლუბში კი... ორი). ერთნი ამეცადინებენ სხვადასხვა ჯგუფს, მეორენი — მოჭადრაკე ვაჟებსა და ქალებს; მესამენი — ხელმძღვანელობენ მიწერ-მოწერით ტურნირებს. ოსტატობის კანდიდატი პ. კამპენიუსი, მაგალითად, განაგებს დებიუტების შესანიშნავ კარტოტეკას, რომელსაც მისი ხელმძღვანელობით სისტემატურად ავსებენ რესპუბლიკის წამყვანი მოჭადრაკეები. კარტოტეკის შექმნამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლატვიელ მოჭადრაკეთა თამაშის დონის ამაღლებაში. ახლა უკვე გასაგებია, თუ რატომ გამოჩნდნენ ლატვიაში მ. ტალი, ა. გიპსლისი, ი. კლოვანი და სხვა ნიჭიერი მოჭადრაკენი.

ლატვიის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის მუშაობა ჭეშმარიტად მისაბაძია. ჩვენს საჭადრაკო ორგანიზაციას ბევრი რამ შეუძლია გადაიღოს ლატვიელი მეგობრებისგან. ლატვიის კლუბის მაგალითი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ცენტრალური საჭადრაკო კლუბის გაფართოება და კლუბის შტატის გაზრდა სადღეისო პრობლემებია.

**ა. ბუხლაევი,**
სპორტის ოსტატი.



ბათუმში დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის პროფკავშირთა პირველობა ჭაბუკ წყალბურთელთა შორის. IV და V ტურების შედეგები ასეთია: „სპარტაკი" (ასტრახანი) — „მეხნატი" (ტაშკენტი) 5:1, „ნეფტიანიკი" (ბაქო) — „ვოდნიკი" (ლენინგრადი) 5:5, „ბურევესტნიკი" (მოსკოვი), — „ტორპედო" (მოსკოვი) 3:2, „ნეფტიანიკი" — „ტრუდი" (ლენინგრადი) 4:2, „ბურევესტნიკი" — „მეხნატი" 8:1.

7-7 ქულით ლიდერობენ „ბურევესტნიკი" და „ვოდნიკი".

ფოტო ა. ტულუშისა.

▲ **ბუდაპეშტი.** გაიმართა რადიოსპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება „მელაზე ნადირობაში". პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ა. აკიმოვმა (სსრ კავშირი). საბჭოთა სპორტსმენები უძლიერესნი იყვნენ გუნდურ ჩათვლაშიც.

▲ **რომი.** იტალიელმა სამთო-მოთხილამურემ ლ. დიმანზომ 3.600-მეტრიან ტრასაზე (სხვაობა სიმაღლეთა შორის 1.200 მ) საათში 175 კმ სისწრაფის განვითარება შეძლო.

▲ **ოსლო.** „ბიშლეტის" სტადიონზე გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი. ფინელმა ი. ტუომინენმა 400 მ თარჯრბენში აჩვენა 50,4, რითაც დაამყარა ფინეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ახალი რეკორდი. პოლონელმა ე. ჩერნიკმა სიმაღლეზე ხტომაში დაძლია 215 სმ და 5 სმ-ით აჯობა ამერიკელ ე. კარაზერს. მსოფლიო რეკორდსმენ დ. ლონგის ბირთვი 20,08 მ-ზე დაეცა. უროს ტყორცნაში გაიმარჯვა პოლონელმა ზ. სმოლინსკიმ — 66,27 მ.

▲ **ლისაბონი.** „აფრიკელმა პელემ" (ასე უწოდებენ ეუსებიოს) გასული სეზონის 37 მატჩში 54 ბურთი გაიტანა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეუსებიოს ყოველ მატჩში საშუალოდ 1,45 ბურთი გაჰქონდა.

▲ **მონტევიდეო.** გაიმართა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა საფეხბურთო თასის გათამაშების I ფინალური მატჩი „ნასიონალისა" (ურუგვაი) და „ინდეპენდიენტეს" (არგენტინა) შორის. შეხვედრამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული — 0:0.

▲ **ბადენ-ბადენი.** უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონმა მარია ბუენომ (ბრაზილია) I ადგილი დაიკავა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

▲ **ტორონტო.** ტაივანელმა იანგმა მაღალი შედეგი აჩვენა მძლეოსნურ ათჭიდში — 8.087 ქულა.

▲ **სტოკჰოლმი.** ამ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო მტყორცნელთა ათეულში შევიდა შვეციის მძლეოსნობის ვეტერანი, 35 წლის ბ. ასპლუნდი, რომელმაც ურო ტყორცნა 66,37 მ (ქვეყნის ახალი რეკორდი).




## ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„ა" კლასი

გუნდების ცხრილები

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 15 აგვისტოსთვის

### I ჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 18 | 10 | 6 | 2 | 34—11=+23 | 26 |
| „დინამო" (თბილისი) | 19 | 10 | 5 | 4 | 24—17=+ 7 | 25 |
| ცსკა | 19 | 9 | 6 | 4 | 30—14=+16 | 24 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 19 | 8 | 8 | 3 | 23—13=+10 | 24 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 18 | 9 | 4 | 5 | 23—13=+10 | 22 |
| „დინამო" (კიევი) | 18 | 7 | 8 | 3 | 26—17=+ 9 | 22 |
| სკა (როსტოვი) | 18 | 9 | 3 | 6 | 28—17=+11 | 21 |
| „დინამო" (მინსკი) | 19 | 4 | 11 | 4 | 8— 9=— 1 | 19 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 17 | 5 | 7 | 5 | 16—13=+ 3 | 17 |
| „ვოლგა" (გორკი) | 20 | 5 | 7 | 8 | 11—24=—13 | 17 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 19 | 4 | 8 | 7 | 10—21=—11 | 16 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 19 | 5 | 5 | 9 | 13—19=— 6 | 15 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 19 | 5 | 5 | 9 | 17—25=— 8 | 15 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 19 | 4 | 7 | 8 | 14—29=—15 | 15 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 18 | 4 | 6 | 8 | 15—19=— 4 | 14 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 19 | 5 | 3 | 11 | 9—28=—19 | 13 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 18 | 4 | 3 | 11 | 10—22=—12 | 11 |

„ტორპედო" (მოსკოვი) — ცსკა 1:0.
„ზენიტი" — „კაირატი" 1:0.
„დინამო" (მინსკი) — „ნეფტიანიკი" 0:2.
„შინიკი" — სკა (როსტოვი) 1:1.
„კრილია სოვეტოვი" — „მოლდოვა" 3:1.
„ვოლგა" — „შახტიორი" 0:1.

### II ჯგუფის II ქვეჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკა (ოდესა) | 22 | 11 | 9 | 2 | 27—13=+14 | 31 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 22 | 10 | 8 | 4 | 30—16=+14 | 28 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 23 | 9 | 9 | 5 | 23—19=+ 4 | 27 |
| „არარატი" (ერევანი) | 23 | 7 | 11 | 5 | 20—13=+ 7 | 25 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 22 | 10 | 4 | 8 | 31—26=+ 5 | 24 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 23 | 9 | 6 | 8 | 21—25=— 4 | 24 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 22 | 8 | 6 | 8 | 29—23=+ 6 | 22 |
| „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 22 | 5 | 12 | 5 | 15—12=+ 3 | 22 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 23 | 9 | 4 | 10 | 20—24=— 4 | 22 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 23 | 7 | 8 | 8 | 18—25=— 7 | 22 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 23 | 7 | 6 | 10 | 21—25=— 4 | 20 |
| „დინამო" (ტალინი) | 22 | 4 | 9 | 9 | 19—24=— 5 | 17 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 23 | 5 | 7 | 11 | 23—39=—16 | 17 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 23 | 2 | 11 | 10 | 8—21=—13 | 15 |

ერევანი, 13 აგვისტო. აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „არარატი" და თბილისის „ლოკომოტივი".

მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მასპინძლებმა გაიტანეს მეტოქის კარში.

## სტარტზეა რეზერვი

**ტალინი,** 14 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). დაიწყო „შრომითი რეზერვების" IX საკავშირო სპარტაკიადა. მომავალი ზეინკლები, დურგლები, მშენებლები, მექანიზატორები და სხვანი ერთმანეთს ეჯიბრებიან სპორტის 14 სახეობაში. სპარტაკიადაში სულ მონაწილეობას იღებს 1.600-ზე მეტი მოზარდი სპორტსმენი.

უკვე მოეწყო სპარტაკიადის გახსნა, სადაც ასპარეზობის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კებინი. საზეიმო აღლუმზე გამოქვეყნდა ი. გაგარინისა და პ. პოპოვიჩის მისალმებანი.

კალათბურთელთა შერჩევით ტურნირში კარგად გამოდიან საქართველოს სპორტსმენები, რომლებიც ჯერჯერობით დაუმარცხებლად ლიდერობენ თავიანთ ჯგუფში. ფრენბურთში უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები. ესენი არიან: რსფსრ-ს, აზერბაიჯანის, მოსკოვისა და უკრაინის გოგონათა გუნდები. ჭაბუკთა შორის ფინალში ბრძოლას განაგრძობენ ლატვიის, აზერბაიჯანის, რსფსრ-სა და უკრაინის კოლექტივები.

## რეკორდები და ნავთი

არავის შეეძლო ჰერბერტ ელიოტისთვის მეტოქეობა გაეწია საშუალო დისტანციებზე რბენაში. იგი მუდამ პირველი იყო 1 მილზე რბენაში, მრავალჯერ ფლობდა მსოფლიო რეკორდს.

როცა რომის ოლიმპიურ თამაშებზე ჟურნალ-გაზეთები ათასნაირ პროგნოზებს აკეთებდნენ, მხოლოდ ერთი გვარი არ იწვევდა არავითარ ეჭვს. ეს იყო ელიოტი, რომელიც გახდა კიდეც თამაშების ჩემპიონი 1.500 მეტრზე რბენაში. ავსტრალიელი ჟურნალისტები თავიანთ თანამემამულეს მომდევნო ორ თამაშში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, — მსოფლიო რეკორდსმენი ხომ მხოლოდ 22 წლისა იყო!

მაგრამ მოხდა სულ სხვა რამ. რომის ოლიმპიადის შემდეგ ელიოტმა მიიღო მეტისმეტად მაცდუნებელი წინადადება—შესულიყო კემბრიჯის უნივერსიტეტში და ესწავლა ნავთის უდიდესი კომპანია „შელის" ხარჯზე. ბურჟუაზიული პრესა აღტაცებული იყო ნავთის მაგნატების კეთილი ნაბიჯით. მაგრამ აი, ორი წლის შემდეგ გამოაშკარავდა მეცენატთა ზრუნვის ნამდვილი მიზანი: ელიოტმა თავი დაანება სპორტს.

რაშია საქმე? „ახლა აღარ ვფიქრობ მძლეოსნობაზე,— თქვა ელიოტმა.—ამჟამად ჩემი ზრუნვის საგანია მეუღლისა და ორი ბავშვის გამოკვება. სწავლა დროს არ მიტოვებს ვარჯიშისთვის. სამწუხაროდ, უნდა ავირჩიო ის, რაც უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის ამ მომენტში".

ყველაფერი გასაგები იყო. „გულკეთილი ძიები", რომლებმაც იგი სასწავლებლად გაგზავნეს, არ ფიქრობდნენ უბრალოდ ფულის წყალში გადაყრას. მათ უნდოდათ კლერკი (რომელიც მოგებას მისცემდა კომპანიას) და არა სტუდენტი, რომელსაც სტიპენდია უნდა უხადო. ელიოტი იძულებული გახდა დამორჩილებოდა ნავთის ხელმწიფეების ინტერესებს, რომელთაც სურდათ დიპლომიანი მოხელე ოლიმპიური ოქროს მედლით. ეს ურიგო რეკლამა როდი იყო!

ნავთით გაჟღენთილი „შელის" ფულის ტომარა ჰერბერტ ელიოტის რეკორდებსა და მედლებზე უფრო მძიმე აღმოჩნდა.



## ვინაა დამნაშავე?

იგი ეროვნულ გმირად მონათლეს, რადგან საფრანგეთის მძლეოსნური პრესტიჟი გადაარჩინა შერცხვენას. 1928 წელს, ამსტერდამის ოლიმპიადაზე, პარიზის რენოს ქარხნის ალჟირელი მუშა ელ-უაფი ერთადერთი მძლეოსანი აღმოჩნდა, რომელმაც საფრანგეთს ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა. საშუალო ტანის, ატლეტური აგებულების სპორტსმენმა შეძლო გაესწრო მსოფლიოს ყველა საუკეთესო მარათონელისთვის.

მის საპატივცემულოდ სვამდნენ სადღეგრძელოებს ოფიციალურ ბანკეტებზე, ჩემპიონის პორტრეტები გამოფინეს პიგალის მოედანზე მდებარე მაღაზიების ვიტრინებში, ფრანგმა ადმირალმა იგი მიიღო საფლაგმანო სახაზო გემზე, ხოლო ეკიპაჟი სალუტს აძლევდა მას, როგორც გამოჩენილ სტუმარს.

მილოცვა ბევრი იყო, ფული კი ცოტა. ამიტომ ელ-უაფიმ წინადადება მიიღო გამოსულიყო ამერიკის სტადიონებზე, რისთვისაც საკმაოდ მიმზიდველ თანხას შეპირდნენ. სპორტსმენმა თავი დაანება ქარხანაში მუშაობას და ამერიკაში გაემგზავრა. მაგრამ იქ, უეშმაკო ოლიმპიელს ყველგან ატყუებდნენ. ბოლოს იგი ცარიელი ჯიბით დაბრუნდა პარიზს. საფრანგეთის დედაქალაქში უკვე მოესწროთ მისი დავიწყება, ქარხანაში აღარ მიიღეს, რადგან ეკონომიური კრიზისის გამო სამუშაო არა თუ შავკანიანებს, თეთრებსაც კი არ ყოფნიდათ.

„ელ-უაფი თვადაა დამნაშავე, — წერდნენ მაშინ ბურჟუაზიული გაზეთები.— რად გაემგზავრა ამერიკაში?".

„რითი დაეხმარეთ თქვენ მას აქ? — სამართლიანად სვამდა კითხვას მუშათა გაზეთი „იუმანიტე". — ბერძნები ძველად თავიანთ ჩემპიონებს სახელმწიფო ხარჯზე აცმევდნენ და აჭმევდნენ. ისინი გადასახადებისგანაც კი ათავისუფლებდნენ მათ, ვინც სამშობლოს დიდებას მოუტანდა. ელ-უაფი კი ბედის ანაბარა დატოვეს. ის, რაც მას შეემთხვა, არის უმართებულო სოციალური პირობების შედეგი".

სპორტსმენს დაეხმარენ თანაკლასელი მეგობრები. ამან კი მოფაშისტო არამზადების აღშფოთება გამოიწვია. მათ გადაწყვიტეს ანგარიში გაესწორებინათ ალჟირელისთვის: იგი დაიღუპა ოასელი ბანდიტების ხელით.

## ფრანგები — ტულის ტრეკზე

**ტულა** (ჩვენი სპეც. კორ.). საფრანგეთისა და სსრ კავშირის ველოსიპედისტები პირველად არ ხვდებიან ერთმანეთს. მიმდინარე წლის ზაფხულში საბჭოთა სპორტსმენებმა სამი სამატჩო შეხვედრა გამართეს საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში, ამჯერად კი ფრანგები ტულაში გვეწვივნენ.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში, ცხადია, სპრინტი იყო. ო. ფხაკაძესა და ვ. ხიტროვს ძნელი ბრძოლა უწევდათ პ. ტრენტინთან და დ. მორელონთან — მსოფლიოში მესამე და მეოთხე ველოსიპედისტებთან.

კარგად დაიწყო ტურნირი ხიტროვმა. მან ჯერ ტრენტინი დაამარცხა, შემდეგ კი მორელონი. ფხაკაძე — მორელონის წყვილში წინ სულ საბჭოთა ველოსიპედისტი იყო, მაგრამ საფინიშო მოსახვევში ფრანგმა ტაქტიკური მანევრით „მოატყუა" ფხაკაძე და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. მეორე სერიაში ტრენტინთან ფხაკაძე უფრო ფხიზლად იყო და გაიმარჯვა კიდეც.

უკანასკნელ სერიაში სტარტი ოთხივე სპორტსმენმა ერთად აიღო. ფხაკაძემ წინ გაუშვა ხიტროვი, თვითონ კი მისი „ზურგის დაცვა" გადაწყვიტა. მაგრამ ბრძოლის აზარტში ქართველმა ველოსიპედისტმა უაღრესად დიდი სისწრაფე განავითარა და ტრენტინი ფინიშის სწორზე მოიყვანა. ფრანგმა კარგად გამოიყენა მასპინძლის „წყალობა" და გაიმარჯვა. სამი სერიის ჯამში პირველი ადგილი მოიგო ხიტროვმა.

პროგრამის დანარჩენ სახეობებში აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა, რომლებმაც მოიგეს კიდეც მატჩი.

## ჰანაპი ემუქრება რეკორდს

ავსტრიის ახალი ჩემპიონის, ვენის „რაპიდის" ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, ნახევარმცველი ჰანაპი წელს მძიმე ტრავმის გამო თითქმის არ თამაშობდა, მაგრამ ამჟამად გამოჯანმრთელდა.

ჰანაპის ეკუთვნის იშვიათი რეკორდი ფეხბურთის ისტორიაში. მან ზედიზედ შეუცვლელად ითამაშა ნაკრებში 55 მატჩი. იგი ემუქრება მეორე რეკორდსაც: ნაკრებში ყველაზე მეტ ჩატარებულ მატჩზე. ჯერჯერობით ავსტრიელ ვეტერანს მხოლოდ სამი მოთამაშე უსწრებს — რაიტი (105 მატჩი ინგლისის ნაკრებში), ნორვეგიელი მეკარე სვენსონი (104 მატჩი) და უნგრელი ბოჟიკი (100 მატჩი).

ავსტრიის ნაკრებში ჰანაპიმ ითამაშა 95-ჯერ. უმრავლეს შემთხვევაში იგი გუნდის კაპიტანი იყო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.





საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 08315